ხელშეკრულება N 150515/13
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **15 მაისი 2015წ.**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი**, წარმოდგენილი თავმჯდომარის ალექსი ახვლედიანის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, მაჩაბლის ქ. №11;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404404211;

მეორე მხრივ, **შპს „თბს ტვ მედია"**, წარმოდგენილი დირექტორის თინათინ იობიშვილის სახით, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად")
მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე–საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქ. N68 (ნაკ 09/029);
საიდენტიფიკაციო კოდი: 405080317;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE85 TB79 0443 6080 1000 01;

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, „ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N2534 განკარგულების საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე აწვდის საქონელს/მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.1.5. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.1.6. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.1.7. ფესტივალი - ქ. თბილისში, 2015 წლის 26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1.1 ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ფარგლებში ოლიმპიური ცეცხლის საქართველში შემოსვლასთან დაკავშირებით, შემსყიდველის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ვიდეო გადაღება, მონტაჟი და სატელევიზიო ეთერით პირდაპირი ტრანსლირება წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართი N1-ის შესაბამისად ***(CPV 92111000 - მომსახურებები კინო - და ვიდეოგადაღების სფეროში).***

მუხლი 3. მხარეთა უფლებები

3.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

3.1.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

3.1.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

3.2.1. მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება სრულად და ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, რაოდენობის/მოცულობის, მახასიათებლებისა და ვადის შესაბამისად.

3.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

3.2.3. წერილობითი (მათ შორის ელ. ფოსტის მეშვეობით) ან/და ზეპირი ფორმით მისცეს მითითებები მიმწოდებელს ვალდებულებათა შესრულების თაობაზე. ამ სახით განხორციელებული მითითებები სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილს, თუ მითითება განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების მიერ.

3.2.4. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

3.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.3.1 დადგენილ ვადებში, ეტაპობრივად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3.3.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

3.3.3. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან შესრულების სავარაუდო დაგვიანების თაობაზე;

3.3.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

3.3.5. საკუთარი რესურსითა და ხარჯით აღმოფხვრას ხარვეზი, რომელიც გამოვლინდება საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას. ხარვეზის აღმოფხრისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შემსყიდველი უფლებამოსილია თავად გამოასწოროს ხარვეზი (ნაკლი). ხარვეზის აღმოფხვრისას შემსყიდველის მიერ გაწეული ხარჯი გამოიქვითება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზის (ნაკლის) აღმოფხვრა შეუძლებელია ან დაკავშირებულია დიდ ძალისხმევასთან და შეუსაბამოდ ხანგრძლივ ვადებთან, შემსყიდველი უფლებამოსილია აღნიშნული ხარვეზის (ნაკლის) მქონე მომსახურების ღირებულება გამოქვითოს მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა;

3.3.6. კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო შემთხვევების გარდა, არ გაამჟღავნოს, არ გადასცეს მესამე პირს ან სხვა სახით არ დაუშვას წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შემსყიდველისა და აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ან/და მისგან გამომდინარედ მისთვის გადაცემული ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება, მიუხედავად ინფორმაციის წერილობითი თუ ზეპირი ფორმისა. აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ასევე ნებისმიერ პირზე, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან მონაწილეობას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე და მოქმედებს იქამდე, ვიდრე შემსყიდველი მისი გაუქმების თაობაზე არ გამოხატავს წერილობით თანხმობას. მიმწოდებლის ან/და ამ პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი პირის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3.7. შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, ნებისმიერ დროს მიაწოდოს ინფორმაცია ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

3.4. მიმწოდებელი აცხადებს, რომ: გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების სფეროში; გააჩნია მის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლებისა და მასალის სატელევიზიო ეთერში (იმედი, რუსთავი 2, პირველი არხი ან/და სხვა) ტრანსლირების უფლება და პასუხისმგებელია აღნიშნულზე შესაბამისი სატელევიზიო კომპანიების წინაშე.

3.5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლისა ან/და მომსახურების ხარისხზე და აღნიშნულ სფეროში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს შესყიდვის ობიექტს ელექტრონულ ფორმატში (ჩანაწერი HD ფორმატში, ასევე SD File ფორმატში).

3.6. „შემსყიდველი" ვალდებულია:

3.6.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" ხელშეკრულების ღირებულების გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.6.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **55 083.23 (ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხმოცდასამი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარს.**

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირების, მასალების, მონტაჟისა და სხვა ხარჯებს) და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება შემდეგნაირად:

5.1.1. ხელშეკრულების ღირებულების **20% მიმწოდებელს აუნაზღაურდება წინასწარ, ავანსის სახით,** წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.1.2. ხელშეკრულების ღირებულების **დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 6.5. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

5.3. გადახდის ფორმა – უნაღდო;

5.4. შესყიდვის ობიექტის გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი მხარე საკუთარი ხარჯებით.

6.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ით.

6.3. შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი).

6.4. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის, (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 30 ივნისის** ჩათვლით.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ – **„ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის" ღონისძიებებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტში ტელე-ტრანსლირების კოორდინატორი - დავით გერსამია.**

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის, ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,7%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელის მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს – მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულება, ხოლო წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში დააბრუნოს მისთვის წინასწარი ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (საომარი მოქმედება, მომსახურების/საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

12.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12.2 ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

12.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 12.1, 12.2. და 12.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1, 12.2. და 12.3. პუნქტებით განსაზღვრული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

15.2. მხარეებს, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

მუხლი 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

17.3. ყველა დანართი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რაიმე სახის წინააღმდეგობა ხელშეკრულებასა და მის დანართებს შორის უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებს.

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015–ს საორგანიზაციო კომიტეტი	**შპს „თბს ტვ მედია"**
ალექსი ახვლედიანი **თავმჯდომარე**	**თინათინ იობიშვილი** **დირექტორი**

TBILISI 2015
404404211

405080317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

ხელშეკრულება N 150515/13
დანართი N1

ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ფარგლებში ოლიმპიური ცეცხლის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით, შემსყიდველის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ვიდეო გადაღება, მონტაჟი და სატელევიზიო ეთერით პირდაპირი ტრანსლირება, კერძოდ მიმწოდებელი უზრუნველყოფს:

1. ოლიმპიური ცეცხლის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული **სარეკლამო ვიდეო რგოლის** დამზადება და საქართველოს ტელეარხების მეშვეობით მისი სატელევიზიო ეთერში განთავსება სოციალური რეკლამის სახით. **შესრულების ვადა:** ვიდეო რგოლის დამზადება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 19 მაისამდე, ხოლო მისი სატელევიზიო ეთერით გაშუქების ვადაა 2015 წლის 20 მაისიდან 26 მაისამდე **(ხარჯთაღრიცხვა N4).**

2. 2015 წლის **ოლიმპიური ცეცხლის ჩამოტანის იმიტირებული ვიდეო გადაღებას,** მონტაჟსა მის მიწოდებას შემსყიდველისათვის 26 მაისის ღონისძიებისათვის **(ხარჯთაღრიცხვა N2).**

3. 2015 წლის 26 მაისს, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დროს, საბერძნეთიდან (ათენი) **ოლიმპიური ცეცხლის ჩამოტანის ვიდეო გადაღებას**, მონტაჟსა და ტრანსლირებას ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოსვლიდან ოლიმპიური ცეცხლის ჩამოსვლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარების ადგილამდე (ბათუმი, პიაცას მოედანი), ასევე აღნიშნული ვიდეოგადაღების პირდაპირ ეთერში ტრანლაციას სხვადასხვა სატელევიზიო არხების მეშვეობით **(ხარჯთაღრიცხვა N1).**

4. 2015 წლის 26 მაისს, ოლიმპიური ცეცხლის საქართველოში შემოტანისადმი მიძღვნილი **ღონისძიების (კონცერტი - ბათუმი, პიაცას მოედანი) ვიდეო გადაღებასა** და მის ტრანსლაციას პირდაპირ ეთერში სხვადასხვა სატელევიზიო არხების მეშვეობით **(ხარჯთაღრიცხვა N3).**

TBILISI 2015
404404211

405080317
TBC TV MEDIA
ტბს ტვ მედია

ხელშეკრულება N 150515/13
დანართი N2

ხარჯთაღრიცხვა N1

26 მაისი, ცეცხლის ჩამოსვლა ბათუმის აეროპორტში	თიბისი თივი მედია
პროდუქცია	პირდაპირი ეთერი
ფორმატი	SD 3/4
ბიუჯეტი	20225.44 GEL

I. შემოქმედებითი ჯგუფი

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა	კომენტარი
101	რეჟისორი	1	1875	1875	
102	პროდიუსერი	1	1250	1250	
103	რეჟისორის ასისტენტი	1	625	625	
104	ოპერატორები	3	125	375	
105	კრანის ოპერატორი	1	437	437	
106	ტექნიკური ჯგუფი	3	290	870	
107	ტექნიკური პროდიუსერი	1	500	500	
	ჯამი	11		5932	

II. პროექტის გადაღება

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული რაოდენობა	თანხა	კომენტარი
201	სატელევიზიო კრანი	1	1200	1200	
202	გენერატორი	1	800	800	
203	მოძრავი სატელევიზიო სადგური	1	5090	5090	ტვ იმედი
201	განათება	1	750	750	
205	სასტუმრო	4	240	960	2 ღამე
206	ტრანსპორტი	1	350	350	
209	გაუთვალისწინებელი ხარჯი	1	500	500	
	ჯამი			9650	

I. შემოქმედებითი ჯგუფი		5932
II. პროექტის გადაღება		9650
ჯამი		15582.00
კომპანიის მოგება	10%	1558.20
პროექტის ბიუჯეტი		17140.20
დღგ	18%	3085.24
პროექტის საბოლოო სიუჯეტი		20225.44

TBILISI 2015
405404211

405080317
TIC TV MEDIA
ტიბს ტვ მედია

ხარჯთაღრიცხვა N2

26 მაისისთვის ჩირაღდნის გადაღება		თიბისი ტვ მედია
პროდუქცია	ჩანაწერი	
ფორმატი	HD 16/9	
ბიუჯეტი	5977.29 GEL	

I. შემოქმედებითი ჯგუფი

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
101	ოპერატორი	1	625	625	
102	ტექნიკური ჯგუფი	4	290	1160	
103	ტექნიკური პროდიუსერი	1	500	500	
	ჯამი	6		2285	

II. პროექტის გადაღება

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
201	სასტუმრო	3	240	720	2 ღამე
202	სტატიკამი	1	500	500	
203	ტრანსპორტი	2	400	800	
204	გაუთვალისწინებელი ხარჯი	1	300	300	
	ჯამი			2320	

I. შემოქმედებითი ჯგუფი		2285
II. პროექტის გადაღება		2320
ჯამი		4605.00
კომპანიის მოგება	10%	460.50
პროექტის ბიუჯეტი		5065.50
დღგ	18%	911.79
პროექტის საბოლოო ბიუჯეტი		5977.29

TBILISI 2015
404404211

405080317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

ხარჯთაღრიცხვა N3

26 მაისის კონცერტი ბათუმში

თიბისი ტვ მედია

პროდუქცია	პირდაპირი ეთერი
ფორმატი	HD 16/9
ბიუჯეტი	25116.30 GEL

I. შემოქმედებითი ჯგუფი

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
101	რეჟისორი	1	3125	3125	
102	პროდიუსერი	1	2500	2500	
103	რეჟისორის ასისტენტი	1	625	625	
104	ოპერატორები	6	290	1740	
105	ტექნიკური ჯგუფი	8	290	2320	
106	ტექნიკური პროდიუსერი	1	500	500	
	ჯამი	18		10810	

II. პროექტის გადაღება

კოდი	დასქახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
201	სატელევიზიო კრანი	1	1200	1200	
202	გენერატორი	1	800	800	
203	მოძრავი სატელევიზიო სადგური	1	0	0	1 არხი
204	სატელიტური თეფში	1	840	840	იმედი
205	სასტუმრო	10	240	2400	2 ღამე
206	ტრანსპორტი	4	700	2800	
209	მგაუთვალისწინებელი ხარჯი.	1	500	500	
	ჯამი			8540	

I. შემოქმედებითი ჯგუფი		10810
II.პროექტის გადაღება		8540
ჯამი		19350.00
კომპანიის მოგება	10%	1935.00
პროექტის ბიუჯეტი		21285.00
დღგ	18%	3831.30
პროექტის საბოლოო ბიუჯეტი		25116.30

TBILISI 2015
404404211

405080317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

ხარჯთაღრიცხვა N4

26 მაისის სარეკლამო კლიპის გადაღება		თიბისი ტვ მედია
პროდუქცია	ჩანაწერი	
ფორმატი	HD 16/9	
ბიუჯეტი	3764.20 GEL	

I. შემოქმედებითი ჯგუფი

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
101	ოპერატორი	1	300	300	
102	ტექნიკური ჯგუფი	1	300	300	
103	ხმის ჩაწერა (მსახიობი)	1	300	300	
104	მემონტაჟე, გრაფიკა	1	1250	1250	
	ჯამი	4		2150	

II. პროექტის გადაღება

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	თანხა	კომენტარი
201	გენერატორი	1	400	400	
202	გახმოვანება	1	100	100	
203	განათება	1	250	250	
	ჯამი			750	

I. შემოქმედებითი ჯგუფი		2150
II. პროექტის გადაღება		750
ჯამი		2900.00
კომპანიის მოგება	10%	290.00
პროექტის ბიუჯეტი		3190.00
დღგ	18%	574.20
პროექტის საბოლოო ბიუჯეტი		3764.20

TBILISI 2015
404404211

405080317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია